

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

აგვისტო ---- 2018 წელი

ქ. ოზურგეთი

დადგენილება №-----

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20, 25-ე მუხლების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშორების წესების“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

და ა დ გ ი ნ ა:

მუხლი 1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ფორმა, თანახმად N1 დანართისა.

მუხლი 2. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმა, თანახმად N2 დანართისა.

მუხლი 3. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საჯარო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 დეკემბრის N43 დადგენილება;

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საკუთრების მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 დეკემბრის N44 დადგენილება;

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სააუქციონო კომისია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი #-----

ქ. ოზურგეთი

20---- წელი

1. ეს ოქმი (დაპირება) გაიცა _____

(გამარჯვებული მყიდველი) ფიზიკური პირის სახელი, გვარი/იურიდიული პირის სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი, გვარი, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, მისამართი და მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების მონაცემები)

2. მასზედ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშორების წესების“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ქონების

(დასახელება, მისამართი, მონაცემები საჯარო რეესტრიდან)

ქონების საწყისი საფასური _____ (_____)
ციფრებით სიტყვიერად

3. შემდგომში პრივატიზების მიზნით _____ სააუქციონო
კომისიის მიერ 20 წლის _____ მოწყობილ ელექტრონულ აუქციონზე მის მიერ
შემოთავაზებული საფასურის _____ (_____) ლარი
ციფრებით სიტყვიერად

საფუძველზე ის გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში მყიდველი) და მას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშორების წესების“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, ოქმით (დაპირებით) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრებაში გადაეცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული _____

_____ (ქონების დასახელება, მისამართი, მონაცემები შესაბამისი რეესტრიდან, მათ შორის ინფორმაცია ქონების დატვირთვის თაობაზე) _____ შემდგომში – ქონება.

4. მყიდველი ვალდებულია ელექტრონულ აუქციონზე შეძენილი ქონების საფასური (საბოლოო თანხა) გადაიხადოს ელექტრონული აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შემდეგ საბანკო ანგარიშზე # _____

5. მყიდველს გადახდილი „ბე“ ეთვლება ანგარიშსწორებისას.

6. მყიდველს უფლება არ აქვს საკუთრების დამატურებამდე განკარგოს, დააგირაოს, იპოთეკით ან/ და სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება.

7. თუ მყიდველი დადგენილ ვადებში არ გადაიხდის ქონების საბოლოო თანხას, აუქციონის შედეგები უქმდება და მყიდველს არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი „ბე“ უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება.

8. მყიდველის მიერ საბოლოო თანხის დადგენილ ვადაში სრულად გადახდის შემდეგ მასზე გაიცემა საკუთრების დამატურებელი მოწმობა.

9. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადის თანხის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამატურებელი მოწმობის გაცემის და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ.

10. ოქმიდან (დაპირებიდან) წარმოშობილი სადაო საკითხები განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ოქმი (დაპირება) შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი რჩება მუნიციპალიტეტის ქონების განმკარგავ სუბიექტს (შემდგომში – განმკარგავი), ხოლო ორი გადაეცემა მყიდველს.

12. მყიდველი ადასტურებს რომ, გაეცნო და ეთანხმება ოქმის (ხელშეკრულების) შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს ამ ოქმს (ხელშეკრულებას).

13. ოქმს (დაპირებას), რომელიც გამყიდველთან რჩება თან ერთვის:

ა) ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან;

ბ) იმ შემთხვევაში თუ მყიდველი იურიდიული პირია, მყიდველის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, წესდება და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება;

გ) იმ შემთხვევაში თუ მყიდველი მოქმედებს წარმომადგენლის მეშვეობით – წარმომადგენლის უფლებამოსილების დამატურებელი დოკუმენტი.

კომისიის თავმჯდომარე

_____ ხელმოწერა

_____ სახელი და გვარი

აუქციონში გამარჯვებული პირი
(მყიდველი)

_____ ხელმოწერა

_____ სახელი და გვარი

ბეჭდის ადგილი



ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა

ეძლევა _____
მესაკუთრე, მისამართი

_____ მასზედ, რომ მას გადაეცა საკუთრებაში _____

ობიექტის დასახელება და ობიექტის მისამართი

მიწის ფართობი _____ კვ. მეტრი, _____

მიწათსარგებლობის ფორმა

შენობა-ნაგებობა _____ კვ. მეტრი.

საფუძველი: ელექტრონულ აუქციონის შედეგების ოქმი # _____ 20 წლის `____~
_____, ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი
(დაპირება) # _____ 20 წლის `____~ _____, და მიღება-ჩაბარების აქტი 20
წლის `____~ _____,

მოწმობა შედგენილია სამ ეგზემპლარად, ორი ეგზემპლარი გადაეცემა მყიდველს, ხოლო ერთი
ეგზემპლარი რჩება გამყიდველს.

მოწმობა ძალაშია ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმთან
(დაპირებასთან) და მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, რომელიც წარმოადგენს მოწმობის
განუყოფელ ნაწილს.

გაცემულია 20 წლის `____~ _____

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

2. პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი: მალხაზი გორგოშიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი;

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი და ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა.ა) პროექტის შემუშავების საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20, 25-ე მუხლები და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშორების წესების“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება;

ა.ბ) პროექტით დგინდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმები.

ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

4. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

5. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2018 წლის 5 სექტემბერი.